



ABEMACICLIB - VERZENIOS®

რა არის VERZENIOS

მოლეკულის აღწერა	აღწერა
აბემაციკლიბი	50 მგ ტაბლეტი – ბეჟი, 100 მგ ტაბლეტი – თეთრი, 150 მგ ტაბლეტი – ყვითელი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, ის არისმგ/დღეში, ანუ 1 ტაბლეტიმგ-იანი, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში 2-ჯერ, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის ან წყალში გახსნის გარეშე. მიიღეთ ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს, კვებისას, კვებამდე ან კვების შემდეგ.

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორჯერ დღეში, ერთსა და იმავე დროს, საკვებთან ან მის გარეშე	  
უნწყვეტილად, 1-ლი დღიდან 28-ე დღემდე	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა.

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

VERZENIOS®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის წვენის მიღებას VERZENIOS®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.



გვერდითი მოვლენები

ყველაზე ხშირი	კუჭ-ნაწლავის დარღვევები: დიარეა, გულის რევის შეგრძნება, ღებინება, გემოს დაკარგვა, მადის დაკარგვა ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჭრედების (ნეიტროპენია), თრომბოციტების დონის დაქვეითება (თრომბოპენია), ჰემოგლობინის დონის შემცირება (ანემია), ღვიძლის ფუნქციური ტესტების ანომალია კანის პრობლემები: გამონაყარი, სიმშრალე, ქავილი, თმის მცირე რაოდენობით ცვენა მხედველობის პრობლემები: ქარბი ცრემლდენა სისხლძარღვთა დარღვევები: ფლებიტი სხვა: ინფექცია, დაღლილობა, თავბრუსხვევა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად მომწვევებელი სისტემის დარღვევები თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში ფლებიტის მაჩვენებელი სიმპტომები: შენიშნება წვივის არეში, ტკივილი და შეხურება დარღვევები ფილტვის არეში დიდხინიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის სანინაალმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებალეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
თვალეები	მოერიდეთ მანქანის მართვას დაბალი განათების პირობებში.
თმის ცვენა	გამოიყენეთ გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს თავიდან აიცილეთ თმის ძალიან ხშირი დაბანა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მეღირებას და ქიმიურ დახვევას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის ბოჭკოიან საკვებს. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.
გემოს შეგრძნების დარღვევები	მიიღეთ თბილი ან ცივი საკვები პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.

